

**საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარი)**

		<i>2024 წ.</i>	<i>2023 წ.</i>
ამონაგები	1)	662883	631553
სხვა შემოსავლები	2)	627540	632419
ცვლილებები მარაგის ნაშთში		(33918)	4194
შემენილი ნედლეული და მასალები		(89288)	(86847)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(602473)	(599230)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(25406)	(19671)
სხვა ხარჯები	3)	(514139)	(509578)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		25199	52840
საგადასახადო ხარჯი		0	0
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		25199	52840
ბაზის განვითარების ფონდი		1319264	1294065

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები		31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, ნეტო	4)	58608	74691
არამატერიალური აქტივი	5)	25302	29665
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		312400	312400
სულ გრძელვადიანი აქტივები		396310	416756
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	6)	78899	112817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7)	342364	335964
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8)	717721	573550
სულ მიმდინარე აქტივები:		1138984	1022331
სულ აქტივები:		11535294	1439087
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
ბაზის განვითარების ფონდი		1294065	1241225
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		25199	52840
სულ კაპიტალი და რეზერვები		1319264	1294065
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავლები	9)	1069	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1069	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10)	200805	140133
საგადასახადო ვალდებულებები	11)	14156	4889
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		214961	145022
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1535294	1439087

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	689205	743210
საწევრო შენატანები	323155	258750
მიღებული გრანტი	256759	117241
სხვა საოპერაციო შემოსავლები	60773	58991
გადახდილი იჯარა	(90110)	(115400)
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(326690)	(455903)
გადახდილი ხელფასები	(602473)	(559230)
გადახდილი საწევრო	(13440)	(13547)
სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდები	(13523)	(13278)
გადახდილი გადასახადები	(133615)	(94145)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	150041	(73311)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საწარმოს წილის შეძენა	0	0
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5870)	(11777)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	(5870)	(11777)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	144171	(85088)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	573550	658638
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	717721	573550

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ პროფესიულ ორგანიზაციას (რეგისტრირებული კავშირი). ბაფის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61. ბაფის საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბაფის ინდივიდუალურ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და შემდეგი რეგიონალური და რაიონული ფილიალების მეშვეობით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი;
- გორის რაიონული ფილიალი;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ფილიალი

ბაფს წილობრივი მონაწილეობა (51%) აქვს შვილობილ კომპანიაში შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“. ასევე, ფლობს შპს „ქურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“-ს 100%-ან წილს. -

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ბაფმა მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. წინა პერიოდებში ბაფი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყენებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებულ მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებულ სტანდარტს.

საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. საღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

	ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1	ოფისის აღჭურვილობა	20-30
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3	სარტანსპორტო საშუალებები	10-15

მარაგი

მარაგი ბალანსში ასახულია შეძენის/დამზადების თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესი გასაყიდი ფასით. მარაგების შეფასებისას გამოყენებული იყო “ფიფო” მეთოდი.

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალურად. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გადავადებულ შემოსავლებს (რომელიც გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლფასია).

შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის დარიცხვის შესაბამისად. საწევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიცია შეფასებულია დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სრული შემოსავლის ანგარიშების დანართები

1. ამონაგები

შენიშვნა 1

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

ამონაგები

დასახელება	2024 წ	2023 წ
რეალიზაცია	109930	98585
მომსახურების გაწევა	445923	437279
სხვა საოპერაციო შემოსავალი	107030	95689
სულ ამონაგები:	662883	631553

რეალიზაცია მოიცავს საკუთარი წარმოების პროდუქციის (სახელმძღვანელო ლიტერატურა) რეალიზაციიდან ამონაგებს. მომსახურებაში გაერთიანებულია ბაფის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები. სხვა საოპერაციო შემოსავალში -იჯარიდან და საბუღალტრო პროგრამების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

2. სხვა შემოსავლები

შენიშვნა 2

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:

დასახელება	2024 წ	2023 წ
კორპორაციული წევრების საწევრო	112233	104097
ფიზიკური პირების საწევრო	190623	129354
გაწევრიანების საფასური	8640	7750
მიღებული გრანტის შემოსავლად აღიარებული ნაწილი	255690	167150
საპროცენტო შემოსავალი	57146	57803
საკურსო სხვაობა	3208	3790
სხვა შემოსავალი	0	26285
სულ სხვა შემოსავლები:	627540	632419

3. სხვა ხარჯები

შენიშვნა 3

სხვა ხარჯები მოიცავს შეძენილ მომსახურებას, წევრების მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სვა არასაოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია:

დასახელება	2024 წ	2023 წ
გადახდილი საწევროები	13447	13547
ჩამოწერილი საწევროები	0	61652
წევრთა საერთო კრების ხარჯი	3962	13207
ჩასათვლელი(გაუმჯნავი) დღგ-ს ხარჯი	2378	2266
საპენსიო	10972	8543
ჩამოწერილი ძირ.საშუალებების საბალანსო ღირებულება	15	2381
სტიპენდია	2250	2250
ქველმოქმედება და დახმარება	300	1338
უიმედო ვალი	0	4562
არასაოპერაციო ხარჯი	49	612
წარმომადგენლობითი ხარჯი	7745	7735
საგადასახადო ხარჯი(ქონების გადასახადი)	666	805
ჟურნალის გამოცემის ხარჯი	36000	33000
გრანტის ფარგლებში ბენეფიციარის ხარჯი	177060	56710
საკურსო სხვაობის ხარჯი	1849	4258
შეძენილი მომსახურება	257446	296712
სულ სხვა ხარჯები:	514139	509578

5. ბალანსის ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

1) ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 4

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.24	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.23
	შეძენის ღირებულება				
1	ბიბლიოთეკა	782	0	0	782
2	ოფისის აღჭურვილობა	71635	4974	5352	75013
3	ავეჯი და ინვენტარი	59599	0	267	59866
4	სატრანსპორტო საშუალება	105775	0	0	105775
	ჯამი	237791			241436

	ცვეთა	ნაშთი 31.12.24	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.23
1	ბიბლიოთეკა	0	0	0	0
2	ოფისის აღჭურვილობა	55274	8048	8338	55564
3	ავეჯი და ინვენტარი	53034	2494	266	50806
4	სატრანსპორტო საშუალება	70875	10500	0	60375
	ჯამი	179183			166745
	საბალანსო ღირებულება	58608			74691

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

2) არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 5

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.24	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.23
	შექმნის ღირებულება				
1	საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	3368	0	0	3368
2	პროგრამა ICS(მართვის სისტემა)	2225	0	0	2225
3	ლიცენზია Strados Studio	5467	0	0	5467
4	წევრების აღრიცხვის სისტემა	27500	0	0	27500
	ჯამი	38560	0	0	38560
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.24	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.23
1	საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	2660	466	0	2194
2	პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	2224	0	0	224
3	ლიცენზია Strados Studio	4937	460	0	4477
4	წევრების აღრიცხვის სისტემა	3437	3437	0	0
	ჯამი	13258			8895
	საბალანსო ღირებულება	25302			29665

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მიმდინარე აქტივები

შენიშვნა 6

მარაგი შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

1. მარაგი

დასახელება	თანხა	
	2024წ	2023წ
საქონელი, ორისის პროგრამა	4342	3850
მზა პროდუქცია, წიგნები	45441	108830

სხვა მარაგი	29116	137
სულ მარაგი:	78899	112817

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია გასაყიდი საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა “ორისი”. მზა პროდუქციის ნაშთში - ACCA სახელმძღვანელოები. სხვა მარაგში – დაუმთავრებელი წარმოება, მაკულატურისა და საწვავის ნაშთი.

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 7

დებიტორულ დავალიანებას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2024 წ	2023 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	36130	39317
მოთხოვნები წევრებთან	295734	310339
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(34970)	(39550)
მოთხოვნები პერსონალთან	37	660
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	15773	4429
წინასწარ გადახდილი გადასახადები	29660	18687
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:	342364	333882

სავაჭრო დებიტორებში შეტანილი მოთხოვნა ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით

საწარმოს ქვე იჯარით გაცემული აქვს საოფისე ფართი, დარჩენილი 3 წლის ვადით. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. შემოსავლად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2024 წ.	2023წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	10170	10170

შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	2024 წ.	2023წ.
არა უგვიანეს ერთი წლისა	10170	10170
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	20340	20310
ხუთი წლის შემდეგ	0	0
ჯამი	30210	30210

4. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები

შენიშვნა 8

ბაფის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით. მათი სტრუქტურა შემდეგია:

დასახელება	2024 წ	2023 წ
ნაღდი ფული სალაროში	36	281
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარისებზე	53155	12048
უცხოური ვალუტა ბანკში	32530	44421
მოკლევადიანი ანაბრები ბანკში	632000	516800
281 სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	717721	573550

შენიშვნა 9

გადავადებული შემოსავლები

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს ფონდ სვის კონტაქტ საქართველოს გრანტის „სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტი“-ს ფარგლებში ჩარიცხული თანხის გაუხარჯავ ნაწილს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2024 წ	2023წ
მოწ.და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	14147	11811
მიღებული ავანსები	180494	123645
გადასახდელი ხელფასები	0	0
სხვა ვალდებულებები	6164	4677
	200805	140133

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი.საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2024 წ.	2023წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	74870	88313

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

საგადასახადო ვალდებულებები

შენიშვნა 11

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2024 წ	2023 წ
გადასახდელი მოგების გადასახადი	0	944
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	338	0
გადასახდელი დღგ	13818	3945
	14156	4889

ბაფ-ის განვითარების ფონდი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განვითარების ფონდი ფორმირებულია გასულ წლებში ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული მოგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს:

ინვესტიციას შვილობილ კომპანიებში - 312 400 ლარი;

შემძენილ გრძელვადიან აქტივებს 237790 ლარი;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგს /სახელმძღვანელო, ლიტერატურა/ 78900 ლარი;

ბაფის წევრებზე დარიცხულ და ამოუღებელ საწევრო დავალიანებას 280645 ლარი;

ფაქტიურ რეზერვს /დეპოზიტებზე განთავსებული თავისუფალი თანხა/ 400 000 ლარი.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბაფი დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

შვილობილ საწარმოებს - შპს „ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგება“ და „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“- საბოლოო მაკონტროლებელი მხარე - ბაფი;

- საწარმოები, რომლებზეც პირები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს - შპს „კონსაუდი“ და შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“. ამ დაკავშირებულ მხარესთან საწარმო ოპერაციებს არ ახორციელებს,

2024 წ.

2023 წ.

ოპერაციები მაკონტოლებელ ან მნიშვნელოვანი გავლენის

მქონე საწარმოებთან (კონსაუდი)

მომსახურების ყიდვა

68136

68136

დაუფარავი ნაშთების თანხა:

ვალდებულებები მაკონტოლებელ ან მნიშვნელოვანი

2024 წ.

2023 წ.

6700

0

გავლენის მქონე საწარმოების წინაშე (ბაფი)

სულ ვალდებულებები

6700

0

ვალდებულებებისა და მოთხოვნის დაფარვის ვადები არ აღემატება ერთ თვეს.

შვილობილი საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები

შვილობილი საწარმოდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას დივიდენდის სახით 2024 და 2023 წელს შემოსავალი არ მიუღია.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანმა კომპენსაციამ შეადგინა: 2024წელს - 104260 ლარი; 2023 წელს - 107600 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2024 წლის 28 მარტს,

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

მთავარი ბუღალტერი

ქეთევან აბესალაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ლავრენტი ჭუმბურიძე